№ 222 ოქტომბერი 16, შაბათი — 1893 — ოქტომბერი 16, შაბათი № 222

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოგ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893

ქართული თეატრი

კვირას, 17 ოქტომბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

არტისტ კ. დ. ყიფიან ს მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

**სამშობლო**

დრ. 5 მოქ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, მძინარიოვისა, და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

ბაქოდგან ტფილისს რომ მატარებელი მოვიდა 14 ოქტომბერს, ვიღამაც შეცდომით ვაგონიდგან წაიღო ხურჯინი, რომელშიაც სამოხელეო ქაღალდები ეწყო. ვინც ამ დანაკარგს მოიტანს ახალ-არსენალის ქუჩაზედ, სახლში № 25, მიიღებს საჩუქრად 50 მანათს.

(3—1014—1)

## ტფილისი, 15 ოქტომბერი

როგორც მთის წვეროდან წამოსულს ზვავს ველარა დააბრკოლებს-რა, სწორედ ისეა ეროვნულის პრინციპის გაძლიერების საქმეც დასავლეთ ევროპაში. დიდნი და ძლიერნი ერნი ტყუილად ებრძვიან პატარა ტომთა სურვილს, —ჩვენცა გვწადიან ქვეყანაზე ვიყვნეთ საკუთარის ენით და არ გვინდა გადავგვარდეთ და განვქრეთო. გაბატონებული ტომი ბევრსა სცდილობს, რომ მოუკლას მცირე ტომთა ესეთი სურვილი, მაგრამ ცდა და შრომა მათი ფუჭათა რჩება.

ამის უტყუარს მაგალითს წარმოადგენს სემიგრადის რუმინთა ეხლანდელი ისტორია. სემიგრადი ჰუნგრეთის პროვინციაა, დასახლებული განსაკუთრებით რუმინებით. ეროვნულმა ტალღამ კარპატის მთებსაც უწია, მიძინებულმა რუმინებმა თვალი აახილეს და მხნედ შეუდგნენ დაკარგულ ეროვნობის აღორძინებას, დამრთეს სკოლები, სადაც სწავლა სამშობლო ენაზე მიმდინარეობდა, ჰმართავდნენ კრებებს, სადაც პატრიოტნი გატაცებით ჰქადაგებდნენ, რომ ერი თვით-მმართველობას და სამშობლო ენას მოკლებული, მონაა მზაკვარი, სხვის ყურმოჭრილი ყმა და, დღეს თუ ხვალ, გადაშენდება და დედამიწის პირიდან სრულიად აიგვებაო.

რუმინთა პატრიოტთა ასეთ ქადაგებას ჰუნგრეთის მთავრობა ეჭვის თვალით უცქეროდა და სამართლიანადაც შიშობდა, რომ, თუ საქმე ასე წავიდა რამდენსამე წელიწადს, სემიგრადია მალე ხელიდან ჩამოგვეცლებაო. უფრო იმისთვინაა საშიშო სემიგრადიის რუმინთა ეროვნული აღორძინებაო, ამბობდა მთავრობა, რომ გვერდზე, კარპატის მთების მეორე მხარეს, სცხოვრობენ რუმინები, რომელთაც ამ საუკუნეში საკუთარი სახელმწიფო დააარსეს და, უეჭველია, იქიდან დიდად შეუწყობენ ხელს ჰუნგრეთში მცხოვრებ თავიანთ მოძმეთაო.

ამ შემთხვევაშიც ჰუნგრეთის მთავრობა ისე მოიქცა, როგორც ყოველგან სხვანი ჰმოქმედებენ. იმის მაგიერ რომ დაეკმაყოფილებინა სამართლიანი სურვილი სემიგრადის რუმინთა, მთავრობამ სასტიკი ომი გამოუცხადა. დაუკეტა სკოლები, დააპატიმრა მღვდლები და წარჩინებული პატრიოტნი. ჰუნგარნი ჰუნნების ჩამომავლები არიან, მათ ძარღვში ბარბაროსული სისხლი სდუღს და ამისათვისაც დაჩაგრულ რუმინთა წინააღმდეგ არავითარი უკადრისი ღონისძიება არ იუკადრისეს. ასე განსჯეთ, ბუდა-პეშტში დააარსა მთავრობამ ბავშვთა თავ-შესაფარი, სადაც იღებდნენ მხოლოდ რუმინთა უპატრონო და უკანონოდ შობილ ბავშვებს და ისე ზრდიდნენ, როგორც ჰუნგართა. ხშირად მთავრობის მოხელენი კიდეც ჰყიდულობდნენ გაჭირვებულ დედ-მამათაგან ბავშვებს და ჰუნგარულად ზრდიდნენ, რომ ამ გვარად ახალ თაობას სრულიად დაჰვიწყებოდა, ვინ არის იგი ტომით და ჩამომავლობით.

მაგრამ, როგორც ზემოდ ვსთქვით, მთის წვერიდან წამოსულს ზვავს ვერაფერი გააჩერებს; რუმინების საქმესაც ესევე ემართება. რუმინები უფრო გაბრაზდნენ და გამწარდნენ თავიანთ მთავრობის სასტიკობით და ავსტრიის იმპერატორს შარშან დეპუტაცია აახლეს, ცხოვრება აღარ შეგვიძლიან, დაგვეხმარე და მფარველობა გაგვიწიეო. იმპერეტორმა დეპუტაცია არც-კი მიიღო და დეპუტატნი გულ-დაწყვეტილნი სამშობლოში დაბრუნდნენ.

რუმინების ასეთმა საქციელმა მეტის-მეტად გააბრაზა ჰუნგართა სამინისტრო და დევნა დაუწყო დეპუტატთა, განსაკუთრებით მათ მოთავეს, ადვოკატ რატუს. რატუს დასწამეს, შენ ქვეყნის მოღალატე ხარ და სატუსაღოში ჩააგდეს.

რატუს დატუსაღების შემდეგ განვლო ერთმა წელიწადმა და გარემოება შეიცვალა. იმპერატორს ფრანც იოსებს, ეტყობა, გული მოულბა. ამ შემოდგომას, ჰუნსში, ჰუნგრეთში აღლუმების დროს, იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა და სურვილი განაცხადა, რომ რუმინებს და სხვა დანარჩენ მცირე ტომთ მთავრობა მამაშვილურად მოექცესო.

ჰუნგარებმა იტკიცეს, როგორ თუ იმპერატორი ჩვენს შინაურს საქმეში ერევა და დარიგებას გვაძლევსო, მინისტრთა მეთაურს ვეკერლეს საყვედური უთხრეს პალატაში, როგორ მოითმინე კონსტიტუციის შებღალვაო და სხვ.

ვეკერლეც, მეტი რა ღონე იყო, იძულებული გახდა გამოსარჩლებოდა იმპერატორს და სთქვა, რომ რუმინების დასამშვიდებლად რამე უნდა ვიღონოთო. ასეთი სიტყვა მთავარ-მინისტრისა დიდად სანუგეშოა დაჩაგრულ რუმინთათვის.

დასასრულ, არ შეგვიძლიან აქვე არ მოვიყვანოთ, რომ რუმინიის დეპუტატი ბუჩლესკუ მეტის-მეტად სიმპატიურ პროექტს წარუდგენს მომავალ წელს კონფერენციას, რომელიც შეიკრიბება ბელგიის ქალაქ ჰააგაში. ამ კონფერენციის აზრი ისაა, რომ ევროპამ იარაღი აიყაროს და ყველა სადავო საქმე მედიატორეთა სამართალში განიხილოს. სიმპატიური პროექტი ბუჩლესკუსი მეეხება იმას, რომ ყველა ტომს, რომელსაც ისტორიული ტერიტორია უკავია, თანაბარნი უფლებანი ჰქონდეს მინიჭებული სახელმწიფოში.

ისკანდერ

## ახალი ამბავი

*** გუშინწინ, 14 ოქტომბერს, ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს თავმჯდომარე ინჟენერი გორჩაკოვი. გორჩაკოვს საგანგებო მატარებლით მცხეთაში დაუხვდა ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებასთან დაარსებულ შემნახველ კასის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ კასაში ენკენისთვეში შეუტანიათ შესანახათ—33,471 მ. 3 კ. შარშან-კი ამავე თთვეში შეუტანიათ სულ 18,921 მ. 50 კ. მაშასადამე, წელს სექტემბერში 14,549 მ. 53 კაპეიკით მეტი, შეუნახავთ ვიდრე შარშან.

სულ 1 იანვრიდგან 1 ოქტომბრამდე ზემოხსენებულ კასას მიუღია შესანახათ ფული 310,200 მ. 79 კ. შარშან-კი იმავე დროს განმავლობაში შეტანილი ყოფილა 135,108 მ. 2 კ. მაშასადამე წელს 175,152 მ. 77 კაპეიკით მეტი მიუღია ზემოხსენებულ კასას, ვიდრე შარშან იმავე დროს განმავლობაში.

*** ცამეტ ოქტომბერს გრაკლის სადგურიდგან—გორს გაგზავნეს რკინას გზის ლიანდაგზე ნაპოვნი მძიმედ დაშავებული სპარსელი, ალი-ქერბალაი-ჰუსეინ-ოღლი. როდესაც გამოჰკითხეს მიზეზი, იმან შემდეგი უპასუხა: ათ ამ თთვესაო სახალხო მატარებლით № 1 ქალაქს მივდიოდი და კონდუქტორმა მატარებლიდგან გადმომაგდოვო. საჭირო დახმარების აღმოჩენის შემდეგ დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

## ფელეტონი

**ჯავახეთი**

(ახალ-ქალაქის მაზრა)

მგზავრის შენიშვნები

შემდეგი *)

მოლითის მთის კალთა ცხვირივით ვიწროდ და გძლად შესულა ტბაში, ასე რომ ნახევარ კუნძულს წარმოადგენს, და აი ამ მიწის ნაჭერზედ დასახლებულა ორმოციოდე კომლი სომხობა და ამ სოფელს უწოდებენ წითელ-საყდარს ანუ ყიზილქილისას. ჩვენი ურემი სომხის ეკკლესიასთან დავაყენეთ, რომლის ეზოშიაც ვაპირებდით დასვენებას, მაგრამ გამოჩნდა ერთი სტუმართ-მოყვარე კაცი, რომელმაც ძლიერ ითაკილა ჩვენი ამ გვარი ქცევა და თვითონ გაგვიმასპინძლდა.

ქართველების აქ ოდესმე გაძლიერებულ ცხოვრების მოწმე ერთად ერთი ნაშთია ძველის ეკკლესიისა.

ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ ამ ეკკლესიის წითელ-თლილი ქვით ნაშენ კედლებზე რაიმე ზედ-წარწერას ვპოვებდით, მაგრამ, როგორც ხალხმა აგვიხსნა, რაც ზედწარწერები იყო, ციციანთ წაიღეს რაღაც დავის დასასაბუთებლადაო, რადგან ბორჯომის მამულის მომიჯნავენი არიან და თავის მიჯნას ამ საყდრის ნახევრამდე ასახელებდნენო, ეხლა-კი საციციანოს სამზღვრამდე აქედგან ბარე ხუთი ვერსი არისო. ეკკლესიის კედლები, თუმცა ჯერ მაგრად სდგანან, მაგრამ თალი-კი ნახევრამდე მონგრეულა და მეორე ნახევარიც საკურთხეველთან დღე-დღეზე აპირებს ჩამონგრევას. ბ-ნმა როსტომაშვილმა ფოტოგრაფიულად გადიღო ეს ეკკლესია, თვითონ სოფელიც და ტბაც.

ამ არზრუმიდგან გადმოსახლებულ სომხობას ყველგან თავის შნო მიუტანია; დარწმუნებული ვართ, რომ როცა ამ ნასოფლარში დასახლდნენ, ორიოდე ხე მაინც იდგმებოდა ამ ტბის პირას და, თუმცა ბორჯომის ტყე ზედ ცხვირზედ აკრავთ, მაგრამ წივის ნაზუქებს აქაც შევხვდით, ქვებზედ გაკრულს, მზეზედ გამოსაცხობად. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, ნათქვამია.

ტობიწყურის ტბა (ტბისყურის ტბა) თაფარავნის ტბაზედ ცოტა პატარაა, გარეშემო 25 ვერსი იქნება, უფრო გრძელია, ვიდრე განიერი, თაფარავნის ტბა-კი თითქმის მრგვალია. ჩვენმა მასპინძელმა გვიამბო, რომ აქ ადრევე ვიღაც «ჩინოვნიკები» მოვიდნენ და ამ ტბის სიღრმე გაზომესო და ზოგ ალაგას ოთხმოცი საჟენი სიღრმე აღმოჩნდაო.

გაგონილი გვქონდა, რომ ტაბიწყურის ტბა თამარ დედოფალმა მდ. ქციადგან გამოიყვანაო და ჩვენმა მასპინძელმა-კი დაგვარწმუნა, რომ ვახტანგ მეფეს მდ. ქციადგან არხი წამოუღია და წყალი ამ ჩავარდნილ ალაგში გადმოუგდია. მას აქეთია ტბათ გავსილაო. არხის ალაგი ეხლაც ეტყობაო. მდინარე ქცია ტბის გარემორტყმულ მთის ქედის უკან მომდინარეობს და წალკისკენ მიდის. ვინც ამ ტბის და მდ. ქციას შუა მდებარე უზარ-მაზარ მთებს ჰნახავს და მანძილსაც იანგარიშებს, მხოლოდ მას შეუძლიან წარმოდგენა იქონიოს, რის უნარის პატრონებიც ყოფილან ჩვენი წინაპარნი.

ჩვენი მასპინძელი ალექსი სანდაძე იქამდე საინტერესო აღმოჩნდა, რომ არ შემიძლიან მკითხველსაც არ გავაცნო. ეს ალექსი სომეხია და მისი ძმა მოსე—ქართველი. აი თვით ალექსის ნაამბობი: „პაპა ჩვენი ქართველი იყო და ძალიან მიღებული კაციც ყოფილა ოსმალეთის ბატონობის დროს. ამ ადგილებში პაპა ჩვენი სანდაძე ოსმალოს მთავრობისაგან ბევრჯერ ყოფილა გაგზანილი საქართველოს მეფეებთან. აი ამისთანა გამოჩენილი კაცი ყოფილა პაპა ჩვენი. მერე რო დაქვრივებულა, ახალციხეში ერთი სომხის ქალი შეჰყვარებია. იმ ქალსაც პირობად ის დაუდვია, თუ შვილებს სომხის რჯულზე მონათლამ, შეგირთამ, თუ არა და არაო. პაპა ჩვენიც დათანხმებულა. ამ გვარად მამა ჩვენი სომხად მოუნათლავთ. ღრმა მოხუცებულობის დროს პაპა ჩვენს ეთქვა მამაჩემისთვის: არ მინდა, შვილო, რომ ჩემი სახსენებელი გაწყდესო და შენი პირველი ვაჟიშვილი მე მაჩუქე, რომ ქართველად გავზარდოო. მამა ჩემსაც ერთი შვილი დაუთმია ჩემი ძმა მოსე, და ეხლა ჩვენ სომხები ვართ და მოსე ქართველი.“

ჩვენ გვინდოდა აგვეხსნა ალექსი სანდაძესთვის, რომ, თუმცა რჯული სომეხთ-გრიგორიანისა აქვს, მაინც ქართველია და, რადგან ამგვარ საგანზე ბაასი შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ვარჩიეთ ისევ აქაურ ამბების გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ ალექსი სანდაძეს მთელი ეს არე-მარე, რომელიც ბორჯომის მამულს ეკუთვნის, იჯარითა აქვს აღებული, წელიწადში 12—13 ათას მანეთს იხდის იჯარას და სამი-ათასამდე დესეტინა საძოვარი და სათიბი ალაგი უჭირავს. ტბის ნახევარიც ბორჯომის მამულს ეკუთვნის და ნახევარი-კი—ხაზინისაა. ტბაც ალექსი სანდაძეს აქვს იჯარით აღებული, წელიწადში 1500 მანეთად. როგორც თითონ აგვიხსნა, და სხვებმაც დაგვარწმუნეს, ალექსი სანდაძეს წელიწადში სამი-ათას თუმნამდე აღებ-მიცემობა აქვს.

*) იხ. „ივერია“, № 219.

*** ცხრა ამ თთვეს რკინის გზის სადგურ ლიაქის მახლობლად მე-252 ვერსზედ სახალხო მატარებელი № 3 დაეჯახა ცხვრის ფარას და ასამდის დახოცა. მატარებელმა ხუთ წუთამდე დაიგვიანა.

*** სოფ. ქარალეთი (ქართლი) 9 ოქტომბერს ყრილობა მოხდა ექვსის საზოგადოებისა, სულ 10 სოფლისა და მამასახლისად ერთხმად ამოირჩიეს თავ. ალექსანდრე ელიზბარის ძე ერისთავი. ამ 10 სოფელში სულ 800 კომლია. თითო კომლმა მამასახლისს წელიწადში მანეთ-ნახევარი უნდა აძლიოს, ხოლო იმ პირობით-კი, რომ კანცელარიისა და სხვა ხარჯი მამასახლისისა უნდა იყოს.

*** ს. წვერი (ქართლი), 7 ოქტომბერი: ძლივს მიაგნეს ავაზაკთა ბუდეს ს. ბრეთში. შესწუხდა ქვეყანა მრავალ ნაირ ავკაცობით. საქონელი ვერავის შეუნახავს. ესეთ გაჭირებაში იყო აქაური სოფლები. მაზრის უფროსმა ამ ქურდობის მოსასპობლად ერთი ურიადნიკი ნათაძე და ორი ჩაფარი გამოგზავნა, რომელნიც ს. ბრეთში უნდა დაბინავდნენ და საეჭვო კაცთ თვალ-ყური ადევნონ. რაღაც ბედზედ, სწორედ იმ დღეს, როდესაც ურიადნიკი ჩაფრებით მოვიდნენ ს. ბრეთში, ხმა გავრცელდა, საქონელი მოურეკნიათო. ჩაფარი შეუდგა მაშინადვე საქონლის ძებნასა. ურიადნიკი შეუდგა ძებნას. ერთი აქაური მცხოვრები, სახელად სოსო, მამასახლისის ახლო ნათესავი, ხანჯალ-რევოლვერით შეიარაღებული, საქონელს მიერეკებოდა ს. წვერსა და ბრეთს შუა. ურიადნიკი დაეწია და უთხრა, საქონელი შეაყენეო. სოსომ გინება დაუწყო. ამ დროს ერთმა აქაურმა თავადმა დაუძახა სოსოს, რევოლვერი დაჰკა გულშიო“. მაგრამ ურიადნიკმა დაასწრო და მარცხენა ფერდში დასჭრა რევოლვერით. შეიარაღებული თავადი ურიადნიკისკენ გაეჩქარა. ურიადნიკმა შესაშინებლად ორჯერ დაახალა რევოლვერი, მაშინ კი იკადრა თავადმა უკან დახევა და თავს უშველა. ორის დღის განმავლობაში ურიადნიკმა ცხრა სული საქონელი აღმოაჩინა ნაქურდალი. ქურდების ამხანაგად ერთი ურიაც ყოფილა. ყოველივე ეს ურიადნიკმა მაშინადვე მაზრის უფროსს მოახსენა.

ეხლა-კი იმედია, რომ სხვა ავაზაკებსაც მიაგნებენ.

*** სამტრედია, 13 ოქტომბერი: ყანები გადიწვა და გაფუჭდა გოლვისაგან; ეხლა შემოდგომაა და ერთ მზიან დღეს ვერ ვღირსეთ. ჩვენს მოხუცებულებს არ ახსოვთ ამგვარი შემოდგომა. საშინელი სიცივეებია; საჯავახოს მთებზე თოვლი სდევს. დღე და ღამე დიდი წვიმა მოდის. აქა-იქ თოვლსაც ურევს და ყანა ხელაღებით ლპება წყალ-ტალახში. ვისაც ნაადრევი ყანები ჰქონდა, როგორც იყო სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებამდის მოასწრო ჭირნახულის შენახვა, მაგრამ ამ თთვის პირველიდგან მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. საქონლისთვის ხომ წელს ჩალა სულ არ გვექნება.

*** იქიდამვე: 12 ოქტომბერს გურიის სამუსიკო ამხანაგობამ გამართა სამტრედიაში პირველი მუსიკალური კონცერტი. მუსიკა უკრავდა ქართულ ხმებს. დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ქართულმა ბაიათებმა. კონცერტი გათავდა ფერხულით და ქართულ სიმღერებით.

*** ჩოხატაური: სექტემბრის გასულს ჩვენში ქარი ამოვარდა და იზაბელას ყურძენს მარცვალი გააყრევინა. შემდეგ წვიმები დაიწყო და ვენახი დააზიანა. წვიმების შემდეგ კიდევ ქარი ამოვარდა და მოსავალს სულ ბოლო მოუღო.

## დამაკვირდი

სულელურ სიცილზე უარესი სისულელე ქვეყანაზე სხვა აღარა არის-რა.

**

თუ მეგობარი არა გყავს—ეძიე—და, როცა იპოვნი, ნუღარ დაჰკარგავ.

**

ბუნება კარებში რომ გააგდო, სარკმლიდგან შემოგივარდება.

## კორესპონდენცია

**ს. ბაკურციხე** (სიღ. მაზ.), 10 ოქტომბერს. ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი მიზეზი ჩვენის მეურნეობისა და ამასთანავე იმ ათას გვარ უსიამოვნებისა და უთანხმოებისა, რომელიც სუფევს ჩვენს სოფლებში, ის არის, რომ მებატონეთა და ნაყმევთ შორის ჯერაც გაუთავებელი და დაუბოლოვებელი დამოკიდებულებაა. მართალია, ბატონ-ყმობა, დიდი ხანია, გადავარდა, მაგრამ ამით უთანასწორობა და უთანხმოება არ მოისპო. დღეს თითქმის ყველამ იცის, რომ ჩვენში ძრიელ შხირია სხვა-და-სხვა უსიამოვნო საჩივრები, რაც დიდად ჰვნებს ორთავე მხარეს. აი ეს დავიდარაბა სულ იმ უთანასწორობისაგან მომდინარეობს თავადსა და გლეხს შორის, რომ სანადელო მიწები ჯერ არ არის გლეხებზედ დამტკიცებული. მებატონე „უსტავნი გრამოტით“ ართმევს გლეხს სანადელო გარდასახადს. ეს ასეც უნდა იყოსო—იტყვით. დიაღ, ეს ასეა, მაგრამ, საქმე იმაშია, რომ „უსტავნი გრამოტებში“ ზოგიერთი ისეთი მუხლია ჩართული, რომელიც ეხლანდელს დროში ხალხის მოთხოვნილებას სრულიად ეწინააღმდეგება, რის გამოც ხდება შხირად უთანხმოება და უსიამოვნება. ამ ჟამად ჩვენ არ შევუდგებით მის შინაარსის განსაჯვას და განხილვას, რადგანაც ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს, ჩვენ მხოლოდ ვისურვებთ, რომ ამ საქმეს ერთგულად მოეკიდნენ ის მოხელენი, ვისაც მთავრობისაგან დავალებული აქვთ, და მალე მოუღონ ბოლო კანონიერის წესით. როცა გლეხი დაისაკუთრებს მამულს და გულს დაამყარებს, მაშინ, უეჭველია, შრომას და ამაგს აღარ დაიშურებს მამულის გასაკეთებლად, რომ მოსავალმაც იმატოს.

შაქრო ი. ვ—ძე

**ქვემო იმერეთი**: 10 ოქტომბერი. ძალიან ემდურის წლევანდელ გვალვიან წელიწადს უმეტესი ნაწილი ქუთაისის მაზრისა. მეტად ნაკლები მოსავალი არის სიმინდისა. ნამეტნავად იმ საზოგადოებებში, სადაც ადგილმდებარეობა უფრო მთა-გორიანია და ამიტომაც ნიადაგი უფრო მშრალი. ზოგან უტაროოდ ამხმარ სიმინდის ღეროები-ღა ასჭრეს, ბევრს ხუთი-ექვსი თთვის სარჩო ძლივს ექმნება შეკრებილი; ვინც წინად ჰყიდდა სიმინდსა, წელს, თუ საყიდი არ გაუხდა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს. როგორც ამბობენ, ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ბათუმიდგან და ფოთიდგან სიმინდის გატანა შავის ზღვით აღუკრძალავს. აზრი ასეთის განკარგულებისა ყველასათვის ცხადია და ფრიად მოსაწონი. ამასთანავე ბოქაულებს დავალებული აქვთ, შეჰკრიბონ ცნობები, თუ რომელ საზოგადოებას რამდენი ფუთი სიმინდი დააკლდება. ადმინისტრაცია სცდილობს, მთავრობის ნება-დართვით, ხაზინიდგან სესხად გამოტანილის ფულით იყიდოს ამ შემოდგომაზედ, როცა სიმინდი გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ზაფხულში, იმდენი სიმინდი, რამდენსაც საჭიროდ დაინახავს შეკრებილ ცნობებათა მიხედვით, გაჰმართოს სიმინდის საწყობები იმ ადგილებში, სადაც მეტი საჭიროება იქმნება და ჰყიდოს სიმინდი იმ ფასად, რა ფასადაც დაუჯდება.

მოსავლის შესახებ ცნობების შეკრების გარდა, ბოქაულებს დავალებული აქვთ შეაგონონ ხალხს საჭიროება საზოგადო ბეღლებისა და, სადაც მოხერხდეს, შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობისაც.

**

რთველი ჩვენში ეს-ეს არის თავდება. ღვინის მოსავალი საზოგადოდ საშვალოა; ზოგ ალაგას-კი შარშანდელზედ მეტიც მოვიდა. უფრო მეტი და კარგი ღვინო იმან დააყენა, ვინც ვაზს უწამლა. ურწმუნო თომების რიცხვი თანდათან მცირდება და დღეს არა იშვიათად შეხვდებით ორ-სამ მეზობელს ან მეტს, რომელთაც საერთო ფულით ჰქონდეთ შეძენილი მაშინა ვერმორელისა. ბევრნი კიდევ ჰქირაობენ დღეში ათ შაურიდგან მანეთამდე. მხოლოდ ერთი უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ყველას ვერ შეუსწავლია წამლის ზომიერად შემზადება და დროზედ ვაზის სხურება. იძახიან-კი, ღვინოს აფუჭებს და ვაზსაც სწყენს წამლობაო. კარგი იქმნება, სადაც ვის ხელი მიუწვდება, აუხსნას ხალხს და თვითონაც მაგალითი აჩვენოს, თუ როდის, რა ნაირად და რა გვარად შემზადებული წამალი უნდა იხმარონ. დაბეჭდილ ფურცლებსა და ბროშიურებზე უფრო ცოცხალი სიტყვა და მაგალითი იმოქმედებს.

ლასი

**ბასილეთის საზოგადოება** (გურია), ოქტომბერი. ჩვენშიც შეიგნეს სწავლა-ცოდნის სარგებლობა და დააარსეს: ორკლასიანი სამინისტროს სკოლა, რომელშიც ამ ჟამად ორი მასწავლებელია და ას სამოცამდე ბავშვი სწავლობს; ორი კიდევ სამრევლო სკოლა, რომელიც ოთხმოცდაათამდე მოსწავლეს იტევს. ერთი ამოდენი კიდევ, რამდენიც სწავლობს, უსწავლელი რჩება.

სახნავ-სათესი ადგილები ჩვენში ძალიან ნაკლებია, და რაც არის, იმისი ნიადაგიც გამოფიტულია და უნაყოფო. შვიდას კომლ კაცში ოთხ-ხუთს ოჯახს თუ შეხვდებით, რომ წლის სარჩო სამყოფად მოსდიოდეს, რის გამო აქაური გლეხი სამუშაოდ მიდის ორმოც-სამოც ვერსის მანძილზედ ლუკმა-პურის საშოვნელად, ცოლ-შვილს-კი ღვთის ანაბარად სტოვებს.

ღვინოც ერთობ ნაკლებად მოდის ჩვენში. ბევრჯერ შევსწრებივარ ლაპარაკს: „სადაა ის დრო, როცა იანვარში მაღალ ხეებზე შერჩენილ ყურძენსა ვკრეფავდით ფელამუშის მოსადუღებლადო!“ ეხლა იანვარში-კი არა, ენკენისთვეშიაც რომ შეჰხედოთ ვაზს, გული დაგეწვით.

შინაურ საქონლის მოშენებასაც აღარ მისდევენ, წამლად-რომ გნებავდეთ, ერთ სულსაც ვერ შეხვდებით, რადგანაც საძოვარი ადგილები არა გვაქვს. ერთად-ერთი საქმე, რომელსაც მისდევდნენ ჩვენში, გახლავთ აბრეშუმის მოყვანა.

ის. ოცხანელი

## წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ
ბატონო რედაქტორო!

რადგან გაზეთის „კვალის“ პროგრამას არ ეთანხმება ეს ჩემი სტატია და არ მოხერხდა იქ დასტამბვა, ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ ალაგი დაუთმოთ მას თქვენს პატივცემულს გაზეთში.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
გიორგი წერეთელი

---

საძოვრებს ქიზიყელ მეცხვარეებს აძლევს, სათიბებს ახალქალაქის მაზრის სოფლებს ურიგებს, 3000-მდე ცხვარი ჰყავს თავის საკუთარი და ჩოდრობს კიდეც—იაფად ნაყიდ საქონელს ასუქებს ამ იალაღებზე და მერე ჰგზავნის გასასყიდად ტფილისსა და ქუთაისისკენ. სამუშაო საქონელსაც მთელ მაზრის გლეხობას ურიგებს იმ პირობით, რომ მთელი ზაფხული ამუშაონ, მერე ზამთარში დაასვენონ, გაასუქონ და ყასპებს მიჰყიდონ და იმ ფულით ისევ სანდაძესგან იალაღზე ნასუქი ხარები იყიდონ.—ხვნა-თესვას ძლიერ ცოტათი ეწყობა, რის გამოც პურს მომეტებულს ნაწილს ჰყიდულობს. ქართლ-კახეთისკენ ვენახები ბლომად ჰქონია დაგირავებული და იქიდგანაც სარგებლობს. ტბაში, მაისიდგან დაწყებული, დიდძალ კალმახს იჭერს და ჰგზავნის ბორჯომს, აბასთუმანს, ახალქალაქს და ახალციხეს. ფუთს 4 მანეთად ჰყიდის ზამთარ-ზაფხულს. ზამთარში აქედგან პირდაპირ ჰგზავნის ტფილისს დიდძალ კალმახს ჩავრადრებით. გზა ამ ტბიდგან ერთი სალციანო მთებზე ჩადის ქარელში და მეორეც წალკისკენ გადადის; ეს მეორე გზა თითქმის საურმე გზაა. მთელს ამ მაზრაში ალექსი სანდაძეს დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს ხალხისაგან დამსახურებული, რადგან ყველას სინიდისიანად და პირიანად ეპყრობა.

რაც შეეხება მოსე სანდაძეს, ქართველს, იმისი ოჯახი არ არის ისეთი შეძლებული, როგორც ალექსისა, მაგრამ მაინც გამრჯე კაცს ამბობენ, თუმცა 68 წლის კაცი არისო. ძმები ცალკ-ცალკე სცხოვრებენ და შვილ-შვილებით არიან სავსენი.

ტბის ნაპირზედ ორი კარგი მკვიდრი ნავი ება. ჩვენ გულმა ველარ გაგვიძლო და ვსთხოვეთ მასპინძელს ტბაზედ გასეირნება. ორმა მეთევზემ მოუსვა საჭეებს და ამ ზღვის ოდენ ტბაში არხეინად გაგვაცურა. ტბის წყალი ისეთი ანკარაა, რომ ძირის ფერადი კენჭები ლამაზად სჩანდა. საკვირველია, რომ კალმახს გარდა, ამ ტბაში არავითარი თევზი არ იცის და არც ვართ მის დღეში მნახველიო. ტბის თითქმის შუა გულში კუნძულია და თუმცა ქალებს ეშინოდათ, მაგრამ ჩვენი ნავი მაინც კუნძულს მიადგა. აქ გარშემო ძლიერ ბლომად დაჰფრინავდნენ იხვები. გაზაფხულობით თურმე სავსეა ეს კუნძული იხვების ბუდეებით და ბევრს კვერცხებსაც აგროვებენ მეთევზეები. ზაფხულში კიდევ იხვის ჭუჭულებს იჭერენ. ისიც საკვირველია, რომ იხვის მეტი ამ ტბაში არა ფრინველი თურმე არ იცის და იშვიათად მხოლოდ თეთრი ფრინველი თევზი ყლაპია გვხდებოდა. აქ არც გაგარია, არც ბატი, როგორც სხვა ტბებში იცის.

კუნძულზე ნასახლარები ეტყობა. ჩვენ რამდენიმე იხვის კვერცხის ნაჭუჭები ვიპოვეთ. შემდეგ ჩვენი ნავი ისევ მასპინძლის კარებთან მივაცურეთ და დიდი მადლობა გადუხადეთ, რომ ასე გვასიამოვნა; მართლაც დიდად დავსტკბით ტბის მშვენიერ სურათით. როგორც ჩვენმა მასპინძელმა გვიამბო, ბორჯომიდგან აქ ხშირად მოდიან აგარაკად განგებ ამ ტბაზედ სასეირნოდაო. თვით დიდი მთავარნიც ხშირად გასულან იმ კუნძულამდეო; ხემწიფის შვილმაც ორჯერ ისეირნაო და კუნძულზედაც ინადირაო,—სანდაძემ ოქროს საათი გვაჩვენა ხელმწიფის შვილისაგან ნაჩუქარი და ჩემს შვილებს კიდე ყველას ვერცხლის საათები დაურიგაო—სტუმრად ჩემს სახლში ბრძანდებოდაო——ნამესტნიკმაც (დიდმა მთ. მიხ. ნიკ.) მედალით დამაჯილდოვა და ერთი თოფი პიბოდისა მიბოძაო. ამ მხარეში განსაკუთრებით მე და ჩემ შვილებს გვაქვს ნამესტნიკისაგან ნება დართული პიბოდის და ბერდანკის თოფები ვიქონიოთო.

ტბის ყურებით რომ ვერა ვძღებოდით, მასპინძელმა გვითხრა, ნეტა ზამთარში გაჩვენათ აქაურობაო. თოვლისგან სუყველა მხრიდან გზა შეიკვრება ხოლმე, მაგრამ ჩვენ ბედზე ტბა ისე ძრიელ იყინება, რომ ზედ მთელ ზამთარს ხე ტყეს ზიდვენ სომხები და დუხაბორები. მადლობა ღმერთს, ჯერ აქ არავითარი უბედურება არ მომხდარა და ზამთრობით ჩვენი გზა ეს ტბა არისო.

თუმცა გულით გვინდოდა აქ ღამე დარჩომა და დილით ტბაზედ მზის ამოსვლის ნახვა, მაგრამ მაინც გამოვემშვიდობეთ ჩვენს პატივცემულ მასპინძელს და მზის ჩასვლისას ქედზედ გადმოვდექით, საიდგანაც მთელი ახალქალაქის მაზრა წინ გადაგვეშალა. ჩამავალი მზის სხივები მთების ქედებზედ-ღა თვლემავდა. აბულის მთიდგან წამოსული, თითქმის იმავ სიმაღლეზე მოიზლაზნება სამსარის, შავნაბადასი და თავკვეთელას მთის ქედნი, რომელნიც ტაბიწყურის ტბასთან ბორჯომის მთებს უერთდებიან, დაღმართს ჩიხარულამდე მშვიდობით ჩამოვედით და დაგვიღამდა კიდეც. ღამის ათ საათზე კოჭიოში გავაჩერეთ ურემი ჩვენს პირველ მასპინძელთან. იმ ღამეს იქ დავისვენეთ და, დილა გათენდა თუ არა, გზის თადარიგს შევუდექით. ჩვენმა მასპინძელმა თავის საკუთარი ეტლი შეგვიბა, დიდის მადლობით გამოვემშვიდობეთ და სოფ. ბარალეთს გადავედით, საიდგანაც უნდა წავსულიყავით სამსარის მღაროების სანახავად და გადასაღებათ.

ილ. ალხაზიშვილი

(შემდეგი იქნება)

# თ. ი. მაჩაბლის წამების ამბავი

„მწყემსის" მე-18 №-ში არის დაბეჭდილი ფრიად შესანიშნავი წერილი თ. ი. გ. მაჩაბლისა. ჩვენ გამოვკრეფთ, რაც უფრო საყურადღებო ამბად მიგვაჩნია.

«1883 წ. განსვენებულ ს. მესხმა თოთხმეტის წლის უმადური შრომის შემდეგ გამოაცხადა, მე ვეღარ წავუძღვები გაზეთს, სხვამ იკისროს ვინმემ და მოლაპარაკების შემდეგ მე გადმომცა „დროება" 1 მაისს 1883 წ., რომელთან ერთად ექვსასი თუმანი ძველი ვალი გაზეთისა კისრად დამედო. ამ ვალში სტამბისა, ქაღალდისა, ასოთ-ამწყობისა და სხვა ვალებ გარდა იყო ზემოხსენებული 532 მანათიც. მოვკიდე გაზეთს ხელი და წლის დასასრულამდე სამას-ოთხასი თუმანი კიდევ სხვა ვალი მოემატა, რადგან წლის ხელის-მოწერის ფული უმთავრესი შემოსავალი გაზეთისა, უწინ გაზეთსავე მონდომოდა და მე დამრჩა მხოლოდ ყოველდღიური წვრილმანი შემოსავალი, რაც, რასაკვირველია, გაზეთის ხარჯს ვერ აუვიდოდა. მე იმედი მქონდა, რაკი გაზეთის მთხოვნელები ხალხში თანდათან ვრცელდება და უწინდელი ძნელი მდგომარეობა შეიცვალა, შეძლება მომეცემოდა ოთხ-ხუთ წელიწადში გამესტუმრებინა ეს ვალი და შემდეგ შემოსავალი გაზეთის გასაუმჯობესებლად მომეხმარა. მე მწადდა ამითი გაჭირების დროს ნაკისრები მოვალეობა გახარების დროს გადამეხადნა და მოკლე ხანში პირ-ნათლად გამომეყვანა საზოგადოების წინაშე დამწყებნი და განმგრძნობნი ამ საქვეყნო საქმისა. მაგრამ მიმუხთლა ბედმა, ორი წელიწადი ძლივს დასცალდა ჩემს ხელში გაზეთს და 12 სექტემბერს 1885 წ. გაზეთი დაიხურა. გარდა ზნეობრივის ტანჯვისა, რომელიც მაშინ მე გამოვცადე, კისრად 9,000 მანეთი ვალი დამედო. გაზეთის დახურვის უმალვე 50-დე პირი შეიყარა ბ-ნ იოსებ მელიქიშვილის სადგომში, ტფილისში, სოლოლაკზედ ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად. აქ დაესწრნენ თითქმის ყველანი ტფილისში მყოფნი, ვინც-კი ჩვენს ლიტერატურასთან დაახლოვებულია და გადასწყვიტეს ყოველ თვიურ ჟურნალის «ივერიის» ყოველ დღიურ გაზეთად გარდაქმნა. აქვე ჩამოვარდა ლაპარაკი „დროების" ვალზედ ჩემდა დაუკითხავად. ყველამ ერთხმად სთქვა, ეგ საზოგადო ვალია და საზოგადოებამვე უნდა გადიხადოსო, რადგან გაზეთისათვის არის აღებული, რომელმაც მრავალი გაჭირების დღე გამოიარა, გზა გაიკვალა, კითხვა მოთხოვნილებად გარდაქმნა"-ო.

კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა თ. ილია ჭავჭავაძემ, სიებიც დასწერეს, ფულიც გაწერეს, ბევრს კიდეც გამოუცხადეს, შენ ამა-და-ამდენი უნდა მოგვცეო და სხვ.; მაგრამ ეს ყველა ამაოდ დარჩა. მას აქეთ მოვდევ ამ ვალების გადახდას, დღესაც კიდევ ვერ მომიღია ბოლო.

აქ საჭიროა, ერთი გარემოება გავიხსენოთ: არამც თუ არავის „დროების" ვალი ჩემს გარდა ერთი მანეთიც არ გადაუხდია, ამ გაზეთს ბრმა შემთხვევის გამო მოაკლდა 1,500 მანათამდე შემოსავალი, რომელიც იმის კასაში შევიდოდა, თვე, ან თვე ნახევარი კიდევ რომ დასცლოდა. მე მოხასენებთ ბანკების განცხადების ფულზე. რაკი ქართული გაზეთი აღარ იყო, ბანკებმა თავიანთი განცხადება ყოველ თვიურ ჟურნალ „ივერიაში" დაბეჭდვინეს და ფულიც „ივერიის" რედაქტორს, თ-დ ილია ჭავჭავაძეს მიართვეს, რედაქტორს იმ ჟურნალისას, რომელშიაც ორ წელიწადზე მეტი გაზეთის აღებამდე უსასყიდლოდ მარტო ვმუშაობდი. თუმცა სასყიდელს დაპირებულნი იყვნენ და ასე გასინჯეთ, ერთხელ იძულებული ვიყავ, პირ-იქით ჩემის მოადგილისთვის სასყიდელი ჩემის გაჭირებული ჯიბიდან მიმეცა".

ეს ყველაფერი კარგად და ლამაზადაც არის მოთხრობილი. ბევრს გულიც აუჩვილდება, შეიძლება ცრემლებიც დაღვაროს, როდესაც საზოგადო საქმის გულ-შემატკივარი თ-დი ივანე მაჩაბელი თავის გაჭირვებას გვიამბობს „დროების" ვალების თავის თავზე გადატანით და თვით გაზეთის დასაკუთრებით. მაგრამ ეს ვერ გაგვიგია: თუ-კი „დროება" ასე სამძიმო იყო თავისი ვალებით, ის დალოცვილი რაღად შეემუშტრა იმ წრეს ახალგაზდობისას, რომელსაც თვითონ უნდოდა ეკისრა ამ გაზეთის გამოცემა და მისი ვალების გარდახდაცა. აკი თვით მეფელეტონემ „დროებისამ" იმ ხანებში თავი მოიწონა შემდეგი სიტყვებით: სანამდის ზანტი წრე ახალგაზდობისა გადასწყვეტდა საქმესაო, ჩამოურბინა „ჩათუქესანმა ბიჭმა" (ი. მაჩაბელმა), გამოსტაცა მას ხელიდან გაზეთი და თვითონ დაიწყო გამოცემაო. რაკი ასე სამუშტრო გამხდარა იმ დროს „დროება", რომლის გულისთვისაც თ. ი. მაჩაბელი არ მოერიდა არც კერძო ვალებს და არც ამ ახალგაზდა წრის წყენინებას, საკვირველია, შემდეგ რაღად უსაყვედურებს იმავე წრეს, თქვენ შემპირდით ვალების გადახდას და აღარ გადმიხადეთო. ჩვენ ეს რაღაც კარგად არ გვესმის. შეიძლება თ. ი. მაჩაბელი, როგორც თ. ი. ჭავჭავაძეც ჰმოწმობს, ქართულს ანდაზასავით მოიქცა: ყვავს ბახალა მოუკვდა და ბუს მიუგო: „შენ დიდი თავი გაქვს და იტირეო". ეს თუ ასე მოხდა, ცხადია, რომ არც თ. ილია ჭავჭავაძე და აღარც განაწყენებული ახალგაზდები ბუს მოვალეობას აღარ იკისრებდნენ და მართალიც იქნებოდნენ.

მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ერთი ამბავი გვაოცებს. საზოგადოების მიერ შეწირული ფული ბროსეს საპრემიოთ, რომელიც განსვენებულს მესხს ჰქონდა, თ. ი. მაჩაბელს უკისრია და ეს ათი წელიწადია დღემდისაც ვალად ატარებს. ჩვენ-კი ვეძებდით ამ ფულს, ვკითხულობდით, ნეტავ რა იქნა ბროსეს პრემია, რომ საქართველოს ისტორიის შემდგენელს საჩუქრად დაუნიშნეთ-თქო. ვკითხულობდით და არავინ დღემდის პასუხს არ გვაძლევდა. ღმერთმა დაუმადლოს ი. ჭყონიას, რომელმაც გამოაცხადა: ის ფული თ. ი. მაჩაბელს აქვს და მოჰკითხეთო...

„შეიძლება ეს მისაყვედუროთო— ბრძანებს თ. ი. მაჩაბელი. რატომ პირველად ბროსეს პრემია არ გადაიხადეო, მაგრამ ხუთას-ექვსას-თუმნამდე იმისთანა ვალი იყო, რომელსაც ვადა ჰქონდა". ჰო, აბა, ეგ არის კარგი თავის გამართლება, აი! საქველმოქმედო მიზნისთვის ჩაბარებულს ფულს რადგან ვადა არა აქვს, სულ ერთია, როცა გინდა, მაშინ გადიხდი; შეიძლება ათ წელსაც არ მისცე, შეიძლება ასი წელიც ჯიბეში გედვას, რა უშავს? ვადა ხომ არა აქვს გადახდისა? აი, თუ გნებავთ საზოგადო მოღვაწეობაც და ქვეყნისთვის გულ-შემატკივრობაც ასეთი უნდა!... მერე რა?.. ეს ყველაფერი კარგად და კანონიერადაც არის შესრულებული; მე ჩემმა ღმერთმა, სამართალიც ვერას შეუა და ვერცარა ვითარი ადვოკატი კლანჭს ვერ მოსდებს; მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ბროსეს პრემია ამ ათის წლის წინათ თ. ი. მაჩებელს საკომერციო ბანკში რომ შეეტანა ექვს პროცენტად, ახლა ხუთას-ოცდათორმეტ მანეთის მაგიერად ცხრაას მანეთამდე გვექმნებოდა. ერთი მიბძანეთ, ის ხუთას ოცდა თორმეტი მანეთი რომ დღეს, იპრიანოს ღმერთმა, და იმავე საკომერციო ბანკში შევიდეს სასარგებლოდ, ოთხასი მანეთი ვილას მოვთხოვოთ? თ. ილ. ჭავჭავაძემ მართლად აღიარა, საფარავში უნდა მოვძებნოთო. ჰაი, ჰაი, რა ძნელი მოვალეობა ყოფილა საზოგადოების ფულის ჯიბით ტარება!... ჰაი, ჰაი, რა ნაირად შეეტრუსება ხოლმე ხან-და-ხან ფრთები ცეცხლის მოარშიყე ფარვანას!

გ. წერეთელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსეთის ფინანსთა მინისტრს ს. იუ. ვიტტეს ლაპარაკი მოუხდა გაზეთ „Zukunft-ის გამომცემელთან. ვიტტეს უთქვამს:

არა ერთხელ გამიგონია, რომ გერმანულ გაზეთებს თვით მთავრობა მეთაურობსო. არ ვიცი, როგორ აზერხებთ ამას. რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში ხშირადა სწერენ ისეთი კაცები, რომელნიც ნამდვილი ჟურნალისტები არ არიან, მაგალითად პროფესორები და მოხელენი. მართალია, ჩვენი მთავრობა აკრძალავს ხოლმე რომელსამე ჟურნალს ან გაზეთს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ გაზეთმა უსამართლოდ გაჰკიცხა ვინმე და არა მიმართულების გულისთვის. არა მჯერა, რომ გერმანიის მთავრობას ისეთი დიდი გავლენა ჰქონდეს ჟურნალ-გაზეთების მიმართულებაზედ, როგორც თქვენ ამბობთ. გარდა ამისა, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს არც დიდის ვნების მოტანა შეუძლიანთ. ვინ კითხულობს რუსეთში ჟურნალ-გაზეთს? 120 მილიონ მცხოვრებთაგან, დარწმუნებული ვარ, 5 მილიონმა არც-კი იცის, რა ხდება დედამიწის ზურგზედ. დაბალი ხალხი გაზეთს სულაც არ კითხულობს და არც ყურადღებას აქცევს. ხოლო გერმანიაში ასე არ არის. აქ ყველა გლეხი კითხულობს გაზეთსა.

საფრანგეთში ხომ ჟურნალ-გაზეთებს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. აი ეხლა პარიჟში კონვერსიის საქმე მაქვს. ეს საქმე სულ მცირეა და ჟურნალ-გაზეთების შემწეობას სულაც არ ითხოვს. მიუხედავად ამისა, მე მომივიდა პარიჟის ერთის გაზეთის ნომერი, სადაც დაბეჭდილია წერილი კონვერსიის წინაალმდეგ და თანაც წერილი რედაქციისა. ამდენი ფული მოგვეცით და თქვენკენ ვიქმნებითო. მე, რასაკვირველია, უარი ვსთქვი ქრთამის მიცემაზედ.

## რუსეთი

სულ მოკლე ხანში მინისტრთა კომიტეტი განიხილავს ელევატორების გასამართავად საზოგადოების დაარსების საქმეს. საზოგადოება იმოქმედებს სამხრეთის მხარეს და განზრახვა აქვთ გამართონ ელევატორები ნავთ-სადგურებსა და რკინის გზათა სადგურებზედ. საზოგადოება სთხოვს მთავრობას, რომ ამ საქმეს დაეხმაროს სახელმწიფო ბანკს და გაანაღდოს 25,000,000 მანათის ობლიგაციები. ობლიგაციები უნდა გაბათილდეს 28 წლის განმავლობაში. ვალის გასტუმრების თავმდებია: შემოსავალი ელევატორებისა; ყოველ წლიური გარდასახადი, რომელსაც კისრულობენ საზოგადოებათა წევრნი, ეკატერინოსლავისა, ყირიმისა და ხერსონის გუბერნიების მცხოვრებნი—თითო დესეტინაზედ 3 კაპეიკი. ეს ფული შეადგენს წელიწადში 500,000 მანათს. გარდა ამისა, დაწესებული იქმნება გარდასახადი, ელევატორში მიტანილ თითო ფუთზედ $^1/_2$ კაპეიკი. ეს ფული წელიწადში შეადგენს 900,000 მანათს. როცა საზოგადოებას შეუდგება 5,000,000 მანათი, მაშინ მოისპობა 3 კაპეიკიანი გარდასახადი დესიატინაზედ. ხოლო როცა სათადარიგო თანხა 1,000000 მანათამდე ავა, მაშინ მოისპობა ფუთ პურზედ $^1/_2$ კაპეიკის გარდასახადიც. ელევატორების მართვა—გამგეობა ჩაჰბარდება ადგილობრივ ადმინისტრაციას.

—

სამხედრო უწყებამ მიჰმართა ერობათ და სთხოვა, ამ უწყებისთვის ქვავი ეყიდნათ, მაგრამ ერობათ ამაზედ უარი განაცხადეს, ქვავის ყიდვას ვერ ვიკისრებთო. ამის გამო სამხედრო უწყებამ გადასწყვიტა, თითონ გაჰგზავნოს გუბერნიებში თავისი რწმუნებულნი და ქვავის ყიდვა დაავალოს. გარდა ამისა, მთავრობას მაინც იმედი აქვს, რომ ერობანი დაეხმარებიან ქვავის ყიდვაში ფინანსთა რწმუნებულთ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** რუსეთის ესკადრის აფიცრები რომ სორბონში მივიდნენ, ეტლებიდგან ვერ გადმოვიდნენ, რადგანაც უდროო იყო. სტუდენტების ასოციაციის პრეზიდენტი ბაირალით მიეგება და რამდენიმე მისასალმებელი სიტყვა უთხრა აველანს. აველანმა მადლობა გადაუხადა და დაიძახა: „გაუმარჯოს საფრანგეთს!" ხალხმა პასუხად დასძახა: „გაუმარჯოს მეფესა და დედოფალს!"

—

პარიჟის გაზეთებს მრავალი წერილები მისვლია, რუსეთის ესკადრის მისვლის გამო სხვა-და-სხვა დღესასწაულების გამართვის შესახებ. აი ერთი ახირებული წერილი, რომელიც დამოჟნის ერთს მსახურს მიუწერია პარიჟის ერთის გაზეთის რედაქტორისთვის:

მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენ ვემზადებით ეხლა დღესასწაულები გავმართოთ რუსეთის ერის მეგობრობის დასამტკიცებლად. აი ჩემი ერთი პროექტი: ვგონებ ურიგო არ იქმნება, გავმართო ცირკი, გამოვიყვანოთ სარბიელზედ ლომი და ლომს შორით ებრძოლოს ფრანგი კაცი. თუ ინებებთ, მე ვიკისრებ ლომთან ბრძოლას. ეს წარმოდგენა ორიოდ გროშს მომცემს და ამით ველოსიპედს ვიყიდი. მე დიდი ხანია ველოსიპედის ყიდვა მინდა.

გთხოვთ წერილი ამა და ამ ფოსტის სადგურზედ გამომიგზავნოთ და ზედ დააწეროთ, რომ, როცა ფოსტაში მივალ, წერილი მე მომცენ საკუთარ ხელში, რადგანაც არა მსურს, რომ ეს ჩემი განზრახვა ჩემმა ცოლმა გაიგოს.

—

გობლე აცხადებს, რომ პარლამენტის სხდომა დაიწყება თუ არა, სამინისტროს მოვთხოვ მის პოლიტიკის განმარტებას. ჩვენ ვკითხავთ: ჰფიქრობს შეუცვლელად დასტოვოს კონსტიტუცია, რომელიც ხელს უწყობს ტახტის მძებნელთა და პირადის უფლების გაძლიერებას, რის მაგალითს ჩვენ უკვე ვხედავთ და რომელიც აბრკოლებს საჭირო რეფორმების შემოღებას? სურს თუ არა გარგასახადის შემოღება შემოსავლის კვალობაზე? უნდა შეამზადოს კანონი ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების შესახებ თუ არა? ჩვენ ვკითხავთ, მოეძებნება თუ არა, რაიმე საშვალება სოციალურ საკითხთა გარდასაწყვეტად, სასტიკ ღონისძიებათა გარდა, რომლებსაც მან მიჰმართა ჩრდილო და პა-დე-კალეს დეპარტამენტებში რომ შეთქმულობა იყო და ჰფიქრობს იგი, თუ არა, ამ ნაირ ღონისძიებით შეათანახმოს თავისუფლება შრომისა შეთქმულობათა თავისუფლებასთან და მუშაკთა ინტერესი—მექარხნეთა ინტერესთან. უკეთუ ამ საგნებზედ ჯეროვანი პასუხი ვერ გვიგეს, რაც ძალიან ადვილი საფიქრებელია, მაშინ, ცხადია, მთავრობა უმრავლესობის წარმომადგენელი არა ყოფილა.

—

გაზეთ „Нов. Вр."-ს სწერს ა. სუვორინი პარიჟიდგან:

„მართალს ამბობენ—მსოფლიო ამბავია, განსაცვიფრებელი, ცრემლის მომგვრელი, სულის ამამაღლებელი, ამძგერელი იმ სიყვარულისა, რომელსაც ყველა კაცი ძმად მიაჩნია რომელიც სისხლის მძღვარეა, ძალ-მომრეობით ქვეყნების დაპყრობის მტერია, დედისაგან ღვიძლის შვილის მოშორების წინაალმდეგია. რამდენისამე საათის განმავლობაში მე მეტის-მეტად აღგზნებული ვიყავ. გაოცებულს თავ-რეტი მესხმოდა, თითქმის აღარ შემეძლო ლიონის რკინის გზის სადგურზედ დგომა, საფრანგეთის ადმინისტრაციის წარმომადგენელთ შორის, რომელთაც ოქრომკედით მოქარგული მუნდირები ეცვათ, ქალაქის წარმომადგენელთ შორის, რომელნიც ფრაკებით იყვნენ მოსილნი, და ამასთანავე გარშემო ისმის ძახილი „vive la Russie, vive le Tzar" და ჩვენი სამშობლო ხმა, ხალხური ჰიმნი, რამდენჯერმე გამეორებული. სადა ვარ? რა მოხდა? რომელმა ჯადომ შეაერთა ყოველივე ეს ერთ გრძნობადა და ერთ გონებად? განა აქ არა სჩანს სუფევა ღვთის სიყვარულისა და ძმობისა, სუფევა რაღაც ზენაარისა, იდეასი, რომელიც იშვიათად ეწვევა ხოლმე კაცობრიობას. გული ისე ამივსო რაღაც მშვენიერებამ, წმინდამ, ამაღლებულმა, რომ კალამს არ ძალუძს გამოხატვა. სიტყვა მკრალია იმასთან, რაცა ვნახე, რაც ვიგრძენ. ეს აღტაცება-კი არ არის—ეს სიტყვა მეტად გახუნებულია, ძალიან ხშირად იხმარება სხვა-და-სხვა დღესასწაულების ასაწერად. ეს აღტაცებაზედ მეტია, უკეთესი, უტურფესი, უღრმესი, უსიამოვნესი".

—

ცნობილმა ქალმა ქ-მა ადანმა მისწერა წერილი სამხედრო მინისტრს ლოაზილონს და სთხოვა, ძლიერ კარგს იზამთ, რომ რუსეთის ესკადრის მოსვლისაგამო საფრანგეთში განათავისუფლოთ ის ჯარისკაცნი, რომელთაც თუმცა სამსახურის ვადა გაუთავდათ, მაგრამ სხვა-და-სხვა დანაშაულობისაგამო ისევ ჯარში იმყოფებიან. სამხედრო მინისტრმა ამაზედ ოფიციალურ წერილით აცნობა: ქ-ნო, თქვენი წერილი მივიღე და თქვენი თხოვნა იმავე დღეს იქმნა ასრულებული: დანაშაულის გამო ჯარში დარჩენილი ჯარის კაცნი განვათავისუფლე სამსახურისაგან. ასევე მოქცეულა ზღვათა მინისტრიც, რომლისთვისაც ქ-ნ ადანს იმავე წერილით მიუმართავს.

—

**იტალია.** 16 ოქტომბერს გენუაში აკურთხეს გარიბალდის ძეგლი. ძეგლი აგებულია ფერრარის მოედანზედ. დღესასწაულის დღეს ამ მოედანზედ მოგროვდა 20,000 კაცამდე, მათ შორის იყვნენ დეპუტატნი, სენატორნი და მწერალნი. იყო აგრეთვე გარიბალდის მეგობრად ნამყოფი კრისპი. კრისპისთან მიდიოდნენ გენერალი კანციო და გარიბალდის ლეგიონის მოხუცნი მეომარნი. ხალხი ამ მეომართ აღტაცებით დაუხვდა და ფეხ-ქვეშ ყვავილებს უფენდა. კრისპიმ ძეგლის კურთხევის დროს სიტყვა წარმოსთქვა.

ამჟამადაო, სთქვა ექს-მინისტრმა, ჩვენ გულს გვიმხნევებს იგივე რწმენა, რომელიც უწინ გვიმხნევებდა გულსა. მე მრწამს ძალ-ღონე ჩვენის სამშობლოსი, რომელიც ბატონია თავის თავისა და რომელსაც პატივსა სცემენ დანარჩენნი ერნი! (ტაშის ცემა და ხმა: გაუმარჯოს იტალიას!) ჩემს აზრს და სურვილს ჯერ ვერ მიხვდნენ იტალიელნი. მე ომი-კი არა მსურს, მოციქული ვარ მშვიდობიანობისა. ჩვენ მასწავლებელთ, გარიბალდისა და მაძინის თავისუფლება და დამოუკიდებლობა სურდათ ყველა ერისთვის. მეც მათ მაგალითს

მივბაძავ და იმავე გზას დავადგები. ომს მოისურვებს ან რეგვენი, ან კიდევ სახელისა და დიდების მოყვარე და არა ის, ვინც იტალიის თავისუფლებისთვის იბრძოდა. მე მსურს მშვიდობიანობა, მაგრამ სამარცხვინო მშვიდობიანობა-კი არა. გარიბალდისა და მაძინის ოცნება იყო. ერთა შორის კონფედერაცია დაარსდესო. ესევეა ჩემი ოცნებაც. მაშ ვიშრომოთ ერთად ამ საქმის განხორციელებისთვის, რომელიც აუცილებლად საჭიროა მთელის კაცობრიობისთვის.

—

**ეგვიპტე.** Politissche Correspondenz იუწყება, რომ ყველა სახელმწიფონი დათანხმდნენ ეგვიპტის ჯარის გამრავლებას, გარდა საფრანგეთისა და რუსეთისა. საფრანგეთი თხოულობს პირობას, რომ ეგვიპტის აფიცერთა ნახევარი მაინც ამ ქვეყნის მკვიდრთაგანი იყოს.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** პარლამენტში ასტყდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პრაგაში გასაფრთხილებელი წესი გამოაცხადა მთავრობამ. ახალჩეხების დეპუტატმა პაჩაკმა სთქვა, რომ მაგ წესის გამოცხადების საბუთი მთავრობას არა აქვს. „ჩეხელებს აბრალებთ, ვითომც ის დინასტიის მოწინააღმდეგე იყო, მაშინ როდესაც თვით ხალხი თხოულობს, რომ ავსტრი-უნგრეთის მეფე ჩეხიის კოროლადაც დაგვირგვინდეს. ჩეხიის ხალხი იბრძვის თავის უფლებათა დასაცველად და ამ ბრძოლას თავს არ დაანებებს, რაც უნდა სასტიკად მოეპყროთ“. შემდეგ დეპუტატმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ჩეხელების აღელვება სულ ბოჰემიის მთავარმართებლის, გრაფტუნის ბრალიაო, რომელიც ხალხს აქეზებს ახალჩეხების წინააღმდეგ და თვითონ სცდილობს, თავის აგენტების შემწეობით, მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაციები გაამართვინოს ახალ ჩეხებსაო. იქაური ადმინისტრაცია, ვითომდა წესიერების დასაცველად, ისეთს ღონისძიებას ხმარობდა, რომელიც კანონს ეწინააღმდეგებაო. იუსტიციის მინისტრმა გრაფ შენბორნმა უპასუხა, რომ განსაკუთრებულ ღონისძიებათა მიღება სამწუხარო აუცილებლობას შეადგენდაო; მრავალი ამის დასამტკიცებელი საბუთი მაქვს და კომისიას წარმოუდგენო; მაინც და მაინც მთავრობას ეჭვი არა აქვს, რომ ხალხის უმრავლესობა კანონის მომხრეა, ხოლო მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ხელი შეუკრას იმ კაცთ, რომელნიც ხალხს აღელვებენ. დეპუტატმა ჰეროლდმა ისეთი ცნობები გამოააშკარავა, რომლებიდგანაცა სჩანს, რომ პოლიციის აგენტები აქეზებდნენ ხალხს მთავრობის წინააღმდეგ. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია პარლამენტში. ისე საყურადღებო და საბუთიანი იყო ჰეროლდის სიტყვა, რომ მთავრობა იძულებული იქმნება, თავის სურვილის წინააღმდეგ პასუხი გასცეს პარლამენტს პრაგაში მომხდარ ამბების გამო.

—

გაზეთი „Рус. Жиз.“ იუწყება, რომ გერმანიის ზღვათა სამინისტროს შეუკვეთია გემები, საფრანგეთისა და რუსეთის იმ მდინარეებზედ სასიარულოდ, რომელნიც ბალტიისა და გერმანელების ზღვებს უერთდებიან.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ახალი ფული. ედისონს უთქვამს, რომ შეიძლება ოქროსა და ვერცხლის მაგიერ სხვა რამ გაკეთდეს ფულადაო. ოქრო-ვერცხლის სიხარბე ჩვეულებად აქვთ დაშთენილი იმ დროიდგან, როდესაც ნაციონალურ კრედიტზედ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ახალი ფული შეიძლება ხორბლისაგან გაკეთდესო, ჭახრაკი მოუჭიროს, ხმიადსავით გამაგრდეს და ზედ სახელმწიფო ბეჭედი დაესვასო. მაშინ ეს ფული ოქრო-ვერცხლის ადგილს დაიჭერსო. ედისონის აზრით ყველაზედ ძვირი ლითონი რკინა უნდა იყოს, რადგანაც უიმისობა კაცს არ შეუძლიან და ოქრო-ვერცხლი კალის ფასად ეღირებოდა, კაცობრიობამ რომ უგუნურ ჩვეულებას თავი დაანებოსო.

**

ქალი—მონადირე. დათვზედ მონადირე ქალი, ამბობენ, იშვიათი არისო და თუ ესეთი ქალი აღმოჩნდა, ქვეყანა მალე შეიტყობს ხოლმე. ერთ ასეთ ქალს—ინგლისელს ევროპა გაუკვირებია. ეს ქალი ტან-დაბალია, სულ 5 ფუტისა და 1 დიუმის სიმაღლე. დათვებზედ ნადირობა ძალიან უყვარს თურმე. ჭიმალაის მთებში დაჭყო კარგა ხანი და მრავალი დათვი დახოცა. ეს ამბავი აწერილი აქვს ეხლახან დაბეჭდილ წიგნში: „როგორ ვხოცდი დათვებს“.

მეტი არ იქმნება, შეიტყონ ევროპიელებმა, რომ ჩვენშიაც არის ორი ქალი, რომლებიც დათვებზედ ნადირობენ. ეს ქალები მაღალ საზოგადოებას ეკუთვნიან და იმერეთში სცხოვრობენ.

**

დიუმა-მამის რომანები. დიუმა-მამას 300 წიგნი დაუწერია და ეხლაც ბევრი მათგანი ხელახლად იბეჭდება. რავდენად იზიდავს მკითხველს დიუმას რომანები, იქიდგანა სჩანს, რომ ყოველ წელს იყიდება: 16,000 „სამი მუშკეტერი“, 6000 „მონტე-კრისტო“. დიუმას შვილი მამის თხზულებაში ყოველ წელს იღებს ავტორის გონორარს 30—40,000 ფრანკს.

**

ქალს შეუძლიან თუთუნი მოსწიოს? ინგლისში ამის შესახებ დიდი კამათობაა. ჟურნალ Englisch Illustrated Magazine-ში დაბეჭდილია ორი გრძელი წერილი. ერთი ამტკიცებს, ქალს შეუძლიან და უნდა სწიოს თუთუნიო; მეორეში-კი ნათქვამია: საზიზღარია, ქალი რომ თუთუნსა სწევსო. ორისავე წერილის ავტორები ქალები არიან.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ტფილისში 11 ოქტომბრიდგან 15-დე ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

რკინის გზის საავადმყოფოში 1 ხოლერით ავადმყოფი-ღა არის.

ტფილისის გუბერნია

ტფილისის მაზრის სოფ. წინწყაროში ოქტომბრის 11 და 12-ს ხოლერით ავად ალარავინ გამხდარა.

ამავე დროს მორჩა ოთხი ხოლერით ავადმყოფი.

ბორჩალოს მაზრის სოფ. სარვანში 7 ოქტომბერს 2 ხოლერით ავადმყოფი იყო.

7 ოქტომბრიდგან 13-დე კიდევ ავად გახდა ხოლერით 6 კაცი, გარდაიცვალა 4 და დარჩა 2.

იმავე მაზრის ეკატერინენფელდის კოლონიაში აბდულას სამიკიტნოსთან ერთი ერევნელი მცხოვრებელი გარდაიცვალა ხოლერით, რომელიც ექვსის დღის წინად ხოლერით ავად გამხდარა ტფილისში.

## გამოსადეგი ცნობანი

—

მარმარილოს გაწმენდა. თეთრი მარმარილო ჭუჭყისაგან ჩაყვითლებული ამ ნაირად უნდა გაიწმინდოს.

აიღეთ მისხალ-ნახევარი ხლორისა ანუ უმარილის კირი, ერთ შტოფ წყალში ჩააჭყარეთ და ააჭანჭყარეთ, შემდეგ ღრუბელი ჩაასველეთ და მარმარილოს კარგად წაუსვით. როცა გაშრეს, ორის საათის შემდეგ, სუფთა წყალი გადაავლეთ. თუ რომ მარმარილო კიდევ მოყვითლო იქმნება, ისე უნდა მოიქცეთ, როგორც პირველად.

ძალიან კარგია, რომ ამას შემდეგ სელის ზეთით ოდნავ გაიწმინდოს; შეიძლება კიდევ ტერპენტინის ესსენციაში მცირე კოშტი წმინდა სანთელი გაიხსნას და ამით გაიწმინდოს.

—

როგორ შეიძლება მაღალი ხე გაიზომოს. თუ გინდათ გაიგოთ ხის სიმაღლე და საზომი-კი არა გაქვთ-რა, არშინის მეტი, ასე უნდა მოიქცეთ.

მოსჭერით სწორე წკეპლა ანუ ჯოხი, კაცის სიგრძე, ხოლო ფეხებიდგან თვალებამდე უნდა იყოს, მეტი არა. შემდეგ ხეს ცოტა მოშორებით დაწექით და ჯოხი ორ ფეხ-შუა დაასვენეთ ისე რომ ქუსლებით გეჭიროთ. გაჭვრეტეთ ჯოხის წვერს, ხის წვერთან ერთ ღარზე მოდის თუ არა. თუ ჯოხის წვერი მაღალი სჩანს ხისაზედ, უნდა ხეს ცოტა მიუახლოვდეთ. თუ დაბალია უნდა ხეს ცოტა მოშორდეთ. როდესაც ერთ ხაზზედ გეჩვენებათ ხისა და ჯოხის წვერი, ადექით და იმ ადგილიდგან, სადა ჯოხი დაასვენეთ, ხის ძირამდის არშინით გაზომეთ. სწორედ ეს იქმნება ხის სიმაღლე.

ამ ნაირადვე გაიზომება სახლებისა, ბოძებისა და სხვა საგნების სიმაღლე.

# დეპეშა

14 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** მე-12 კორპუსის უფროსი, გენერალი ზვერევი დანიშნულ იქმნა ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწედ.

აღკრძალულ იქმნა „Сынъ Отечества“-ს ცალკე ნომრებით გასყიდვა.

**ლიონი.** რუსეთის ესკადრის მისვლის გამო ლიონში გამართულ ნადიმზედ ქალაქის მერმა წარმოსთქვა სადღეგრძელო რუსეთის მეფისა, დედოფლისა და ხელმწიფის სახლობისა; ორკესტრმა დაუკრა რუსეთის საერო ჰიმნი. ესკადრა ლიონიდგან წავიდა ღამის 1 საათზედ.

15 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინ სატარიფო კომიტეტმა დაიწყო განხილვა ტარიფებისა ვოლგის ნავთ-სადგურებზედ ნავთისა, მარილისა და ჭირნახულისათვის.

თუთუნის მწარმოებელთ უნდათ გააუქმონ მეტი გარდასახადი გირვანქის მერვედ თუთუნზედ, რაიცა შეადგენს 3 მილიონ მანათამდე. გადაწყვეტილ იქმნა დრო და დრო თუთუნის მწარმოებელთა კრებანი იმართებოდეს ხოლმე.

**მარსელი.** ადმირალი აველანი მოვიდა აქ 11 საათზედ. როცა მატარებელი მივიდა ვოგზალზედ, თავმოყრილმა საზოგადოებამ ქუდები მოიხადა და აღტაცებით მიეგება რუს-სტუმრებს. რუსეთის მეზღვაურნი გაემართნენ პრეფექტურისაკენ; თან მისდევდა მრავალი ხალხი, რომელიც აღტაცებით აძლევდა სალამს; მეზღვაურთა ეტლებში ისროდნენ ყვავილებსა და ხმელ-ხილსა. კანონერკა „Терецъ“-ი მოვიდა აქ. მრავალნი მიეგებნენ ნავებით და აღტაცებით მიესალმნენ მეზღვაურთ. საკომერციო გემებმა ამართეს დიდი ბაირაღები; „Терецъ“-ი მიადგა კიდეს, რომელიც სავსე იყო ხალხითა.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7.64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152³/₄ | 153³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 241³/₄ |
| — მეორისა . . . | 216¹/₂ | — ,, | — ,, |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 192¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა 6°/₀. . . . . | — ,, | 100¹/₂ | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | 100¹/₄ | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98¹/₄ | — ,, |


## განცხადებანი




კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—113)




ამხანაგობა
„ჰიგიენა“
ლიზოლინი
ცუდის სუნის მომსპობი წამალი
ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება
პეტერბურგის
სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან
С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.




# გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(ვუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ჶ პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Октября 1893 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.